პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 27 მარტი 1926 წ.

წლიწადი მეექვსე

ფასი 3

# წითელი მეომარი

65 (1060)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## მშრომელებთან კავშირი უნდა განმტკიცდეს

მორიგი ამოცანა, რომელიც მეამად ჩვენი წითელი არმიის მიერ, უნდა დაუყონებლივ იქმნეს შესრულებული, ეს არის: მშრომელთა ფართო მასასთან კავშირის განმტკიცება. მშრომელთა ფართო მასასთან—წითელი არმიის მიერ, კავშირის განმტკიცებას მეტად დიდი ღირებულება აქვს.

ასეთ კავშირს არასდროს ადგილი არ ქონია ძველად. გავიხსენოთ თუ გნებავთ, მეფის არმია და ის წესები, რომლის თანახმადაც იწვრთნებოდა იგი.

და მაშინ დავინახავთ, რომ მეფის არმია ეს იყო: ერთგვარი შემოფარგლული წრე, სადაც ტარდებოდა ისეთი წესები, რომლებიც შეეფარდებოდა მეფის მთავრობის იმპერიალისტურ ზრახვებს.

ჯარსა და მშრომელთა ფართო მასას შორის დიდი უფსკრული იყო ამოთხრილი.

ძველი არმია არ იყო დამცველი მშრომელთა კლასის ინტერესების.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობას აქვს დღეს ადგილი.

ჩვენი წითელი არმია, რომელიც შესდგება მთელი თავისი შემადგენლობით მშრომელთა კლასის შვილებისაგან, პირდაპირ, თავის მუშაობის და მოქმედების დროს, მშრომელთა კლასის ინტერესებისაგან გამოდის.

წითელ არმიასა და მშრომელთა ფართო მასას შორის დღეს უფსკრული კი არ არის ამოთხრილი, არამედ პირიქით: მათ შორის მხოლოდ და მხოლოდ მჭიდრო კავშირია გაბმული.

და დღეს საკითხი ისმის იმის შესახებ, რომ ეს კავშირი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და განმტკიცდეს.

ასეთი კავშირი იმისთვის უნდა განმტკიცდეს, რომ მშრომელთა კლასმა უნდა გამოიჩინოს მეტი აქტიობა ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

ასეთი კავშირით მან უნდა შეიგნოს, რომ იგი წითელი არმიის დახმარებით იცავს თავის საკუთარ ინტერესებს.

და მაშასადამე მშრომელთა ფართო მასასთან კავშირის განმტკიცებით ჩვენ შევსძლებთ, მათი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების საქმეში ფართოდ ჩაბმას და ამით კი ჩვენ განვახორციელებთ—მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაცვის საქმეს.

ამიტომ ქართული წითელი არმიის შესასრულებელ მორიგ ამოცანად, უნდა ჩაითვალოს მშრომელებთან მჭიდრო კავშირის გაბმა.

## ჩინეთის გამათავისუფლებელი მოძრაობა.

ჩინეთის ამბები კვლავ იპყრობს თავისკენ მსოფლიოს ყურადღებას. ჩრდილოეთით, ცენტრში და სამხრეთით სწარმოებს გააფთრებული სამხედრო თუ პოლიტიკური ბრძოლა. მოპირდაპირეთა დაჯგუფება და ძალების განწყობილება საესებით არ არის გამორკვეული. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არსებითად ჩინეთში ორი მთავარი ფრონტი არსებობს: ჩინეთის რეაქცია—ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ, და მეორეს მხრივ ინგლის-იაპონიის იმპერიალიზმი—დემოკრატიულ ჩინეთის წინააღმდეგ. რეაქციას ხელმძღვანელობს—ჩინეთის ჩრდილოეთი—მანჯურიის, შავი გენერალ ჩან-ძო-ლინის მეთაურობით, რომელიც გამოხატავს იაპონიის მტაცებლურ იმპერიალიზმის ინტერესებს ჩინეთში. რეაქციას ემხრობა—მანემ მათ საერთო მტერი—ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა,—ყავთ ინგლისის შესყიდული გენერალი უ-პეი-ფუ, რომელსაც ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთის მხარე უკავია. ჩინეთის ცენტრში და სამხრეთით გაბატონებულია ჩინეთის სახალხო არმიები, რომლებიც გლეხობის და მოსახლეობის დემოკრატიულ ნაწილის ინტერესებს იცავენ. სამხრეთში, ქ. კანტონში კვლავ მედგრად იგერიებს საშინაო და საგარეო მტრების იერიშებს კანტონის რევოლიუციონურ-ნაციონალური მთავრობა, რომელსაც ჩინეთის რევოლიუციონური პარტია—გომინდანი—ხელმძღვანელობს.

ინგლისის იმპერიალიზმი სერიოზულად ემუქრება ჩინეთის რევოლიუციის აკვანს—ქ. კანტონს და მის რევოლიუციონურ მთავრობას. დაახლოვებით ასეთი დაჯგუფება არსებობს დღეს ჩინეთში. დღეს-დღეობით ჩინეთის დედაქალაქი პეკინი, სადაც გუშინდელ ცნობების მიხედვით სამოქალაქო ხელისუფლება არ არსებობს, სახალხო არმიებს უკავია, მაგრამ შესაძლებელია საომარი ბედი ჩან-ძო-ლინისაკენ გადაიხაროს, რასაც უეჭველად დროებით ხასიათი ექნება. რით აიხსნება ასეთი ორმოტრიალი? ჩინეთში დღეს სწარმოებს არა მარტო განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ცხადია, ემუქრება ეკონომიურ და პოლიტიკურ განადგურებით ჩინეთის თავად-აზნაურობას და მსხვილ ბურჟუაზიას, არამედ ჩინეთი გამხდარა უცხო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა: ინგლისის, იაპონიისა და ამერიკის შეჯიბრის ველად. მათ ჯერ-ჯერობით საერთო მტერი ყავთ—ეს არის ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მათ ზღვაში გადაგდებით ემუქრება—ამიტომაც ისინი არავითარ საშუალებებს არ ზოგვენ, რომ ჩინეთის ეროვნული მოძრაობა ჩააქრონ. შავი გენერლები მხოლოდ და მხოლოდ მათი მატერიალურ დახმარებით სულდგმულობენ. იმპერიალისტები იარაღით ხელში ილაშქრებენ კანტონის რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ხელმძღვანელობს სრულიად ჩინეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. მაგრამ რაც არ უნდა ეცადონ ჩინეთის ხალხის საშინაო თუ საგარეო მტრებმა, რა დროებითი გამარჯვებები არ უნდა მოიპოვონ, მათი საქმე დაღუპულია. ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ფართო გზაზეა გამოსული, მას ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაჩერებს, დღეს მის გამარჯვების გამტკიცების პერიოდია, რაც უთუოდ კიდევ ბევრ მსხვერპლს მოითხოვს ჩინეთის მშრომელ ხალხისგან. ჩინეთის რევოლიუციონური-ეროვნული მოძრაობა გაიმარჯვებს, რაც კარს გაუღებს მეორე მოძრაობას—მშრომელთა საბოლოოდ განმათავისუფლებელ—პროლეტარულ მოძრაობას.

ი. გ.

# ახალი რადიო ამბები

## ლოკარნოს მშვიდობიანობის მზე ბურუსით შეიმოსა

### ჩემბერლენს მაინც სწამს ერთა ლიგის ძლიერება

ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ზოგადი სახით დაახასიათა თავისი მუშაობა ლოკარნოს ხელშეკრულებასა და ჟენევის ყრილობაზე.

ლოკარნოს სამშვიდობო ხელშეკრულება, ჩემბერლენის სიტყვით, არა ერთი რომელიმე ეროვნების დამსახურების შედეგი, არამედ ის არის მრავალ პირთა და ეროვნებათა თანამშრომლობის ნაყოფი.

—მე—განაცხადა მან, დარწმუნებული ვარ ერთა ლიგის ძლიერებაში და ვერ შემაფიქრებს დროებითი დაბრკოლება სესიის ჩაშლის სახით.

მე არ ვფიქრობ, რომ დროებითი დაბრკოლება ძლეულ იქნება და ბევრი სადაო საკითხი მოგვარდება ლიგის მიერ.

## ჩემბერლენი იცავს ბრაზილიას

ჩემბერლენმა უარყო შეკითხვაზე ის აზრი, თითქოს ბრაზილია იტალიის გავლენის ქვეშ იმყოფება, როცა ის წავიდა გერმანიის კანდიდატურის წინააღმდეგ ერთალიგაში.

„ბრაზილია—განაცხადა მან—იცავდა თავის ადგილის საკითხს და იცავდა არა მარტო თავის საკუთარ უფლებებს, არამედ სამხრეთ ამერიკის სხვა სახელმწიფოების უფლებებსაც“.

## ერთა ლიგის საბჭოს მოსაწყობად

ერთა ლიგის კომისიის პირველი კრება, რომელსაც მიენდობა გარჩევა მომავალი საბჭოს მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხების, დანიშნულია ჟენევაში (შვეიცარიაში) 10 მაისს. კომისიაში შევა 10 კაცი, საბჭოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები და 5 წარმომადგენელი—არგენტინის გერმანიის, ჩინეთის, პოლონეთისა და შვეიცარიის.

## ჩინეთის ამბები.

### ჩან ძო ლინსა და უ-პეი ფუს შორის შეხლა აუცილებელია.

იტყობინებიან, რომ პეკინის მმართველი დუან ცზი ჩჟუი წინააღმდეგია უ-პეი-ფუს პეკინში შესვლის და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა მიაღწიოს შეთანხმებას პირველ სახალხო არმიასა და ჩან ძო-ლინს შორის.

ჩინეთის წრეებში ფიქრობენ, რომ ჩან-ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის განხეთქილება აუცილებელია.

## სახალხო არმიამ თავს იდო მშვიდობიანობის დაცვა.

### პეკინის მთავრობას არ შესწევს მოქმედების უნარი.

1-ლი სახალხო არმიის ერთ ერთ ბელადთაგანმა ლუჩინ-ლინმა თავს იდო პასუხისმგებლობა, რომ პეკინის რაიონში მშვიდობიანობას დაიცავს.

არმიის თათბირმა დაადგინა პეკინის მთავრობა, რაც არ უნდა იქნას, უნდა დარჩეს ძალა-უფლების სათავეში.

მაგრამ ეჭვობენ დღევანდელი მთავრობის მოქმედების უნარიანობაში. იტყობინებიან, რომ პრემიერი ჩია-ტე-იაო გაიქცა და დაიმალა საელჩოს რაიონის ერთ სასტუმროში.

## ბრძოლა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ

### გონკონგ—კანტონის საგაფიცვო კომიტეტის მოწოდება

გონკონგისა და კანტონის საგაფიცვო კომიტეტმა მიმართა პროფინტერნსა (რევოლიუციონურ პროფკავშირთა წითელი კავშირი) და ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩინეთის ხალხის სისხლიან იმპერიალისტების მიერ დახვრეტის საპროტესტოდ 9 თვეა რაც გაფიცულია გონკონგსა და კანტონში 150.000 მუშა.

ბრიტანეთის კოლონიალური მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიმართავს ჩვენი გაფიცვების ჩასახშობათ. დაქირავებულ მკვლელთა დახმარებით ეს მთავრობა ხვრეტს ჩვენს რევოლიუციონურ ხელმძღვანელებს; ის სცდილობს ჯარების გამოგზავნას ჩვენზე თავდასასხმელად; მან დაიქირავა ჩინეთის მილიტარისტები და ბანდიტები ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისთვის, დახურა საბაჟო, რომ გამოგვახშოს ჩვენ.

ჩვენ ვძლიეთ მათი ზომები და, მიუხედავად სიძნელეებისა, დარწმუნებული ვართ ჩვენს საბოლოო გამარჯვებაში.

ყველა ქვეყნის მუშებო! ჩვენი გაფიცვა იერიშია მსოფლიო იმპერიალიზმზე, ამიტომ გთხოვთ ზნეობრივსა და ნივთიერ დახმარებას ჩვენს მძიმე ბრძოლაში“.

### ძმური ხელი

ამ მოწოდებაზე პროფინტერმა და საკავშირო პროფსაბჭოთ შეიტანეს გაფიცულთა სასარგებლოთ თითომ—10.000 მანეთი და საბჭოთა კავშირის კავშირთა ცეკამ—27.000 მანეთი.

## შანხაის სტუდენტთა გაფიცვა

24 მარტს შანხაის სტუდენტობამ გამოაცხადა გაფიცვა პროტესტის ნიშნად 18 მარტს პეკინის დემონსტრაციის დახვრეტის გამო.

## ღვთის მსახური სარდლები ჩან-ძო-ლინის დასალოცად

ხარბინის თეთრგვარდიელთა ბელადები ეპისკოპოსები—ნესტორი და მეთოდე გაემგზავრენ მუკდენში ჩან-ძო-ლინის თავის დაბადების დღის მისალოცავად.

# საბჭოთა კავშირში

## ავსტრიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვში დაბრუნდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია, რომელმაც დაასრულა მოგზაურობა ლენინგრადსა და ივანოვო ვოზნესენსკში. 28 მარტს დელეგაცია დაბრუნდება ავსტრიაში.

# საქართველოში

## რიონის გამოკვლევა

### ფოთსა და რიონს შორის ნაოსნობის მოწყობისთვის.

ტფილისიდან ფოთში ჩავიდა კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მდინარე რიონი ნაოსნობის მოსაწყობად ფოთიდან სადგურ რიონამდი,

# არმიის სამხკორთა მესამე თათბირი.

## ამხ. სნეგირევის მოხსენება

### უნდა გავაუმჯობესოთ მთელი მუშაობის ხარისხიანობა.

თვითეული ახალი შევსება სულ უფრო და უფრო აქტივობასა და მოთხოვნილებას იჩენს ჩვენ მიერ წარმოებულ მუშაობისაგან.

ამასთან დაკავშირებით არმიის მე-4 პარტკონფერენციამ განაცხადა: საჭიროა ხარისხობრივი გაუმჯობესება ჩვენ მიერ წარმოებულ მუშაობისა.

სამხკორთა ამოცანაა—ყურადღებით ჩაუკვირდენ ყველა მიღწევებსა და ნაკლს მთელს მუშაობაში, გამოაშკარაონ ისინი და ამრიგად ხელი შეუწყონ მათ გამოსწორებას.

### მოსახლეობის გასამხედროება.

ჩვენი ტერნაწილები ახალგაზრდაა. ამიერ-კავკასიაში კარგად ჩატარდა შეკრებები და სხვა. მაგრამ შეკრებათა შორის მუშაობა კიდევ სუსტია.

ამ შემთხვევაში დიდი მუშაობა უდგას წინ სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებას.

მოსახლეობის გასამხედროება მორიგი ამოცანაა.

აი დაახლოებით ძირითადი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგას.

მთელ ამ მუშაობაში სამხკორებს ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი როლი.

## პროკურატურა და სამხკორები.

ასეთი მოხსენებით გამოვიდა კ. წ. დ. არმიის პროკურატურის წარმომადგენელი ამხ. ლიუბიმოვი.

### ჩვენი ნაკლი.

მან განაცხადა: პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია, რათა სამხკორი პასუხის მგებელი იყოს იმაში, რასაც სწერს. 1925 წელში გამოძიებულ იქნა 143 სამხკორთა შენიშვნა, რომლისგანაც 60 პროც. ყალბი გამოდგა. ეს ციფრი მოითხოვს კარგად ჩაფიქრებას. ეს სერიოზული ნაკლია სამხკორთა მუშაობაში, რომელიც სრულიად აშორებულ უნდა იქნას.

### სამხკორი პროკურატურის თანაშემწეა.

სამხკორი თავისი მუშაობით ეხმარება პროკურატურას ჩვენი არმიის მტკივანი ადგილების განკურნვაში. ამიტომ პროკურატურასა და სამხკორს უნდა ჰქონდეს მეტად მჭიდრო კავშირი.

თავიდათავი ისაა, რომ წერილი შეიცავდეს სიმართლეს, რომ ის უნდა ასაბუთებდეს იმ ფაქტს, რომელსაც ეხება.

მხოლოდ მაშინ შევსძლებთ ჩვენ საერთო ძალით ვსძლიოთ იმ მუშაობას, რომელიც დაკისრებული გვაქვს.

### კ. წ. დ. არმიის სამხკორები ესალმებიან საქართველოს წითელ ჯარებს.

არმიის სამხკორთა თათბირი არმიისა და კასპიის ფლოტის 2.000 სამხკორის წარმომადგენლობით მხურვალე სალამს უძღვნის ქართული წითელი ჯარების მეომრებს, მეთაურებსა და პოლიტმომუშავეთ ბრძოლისა და მუშაობის ხუთი წლის თავზე.

ქართული წითელი ჯარები ჭეშმარიტი შვილი და ერთგული დარაჯია საქართველოს მშრომელთა მასების.

ხუთი წლის შეუდრეკელი მუშაობით ქართულ ნაწილებმა დიდ შედეგებს მიაღწიეს აღმშენებლობისა და სწავლების ყველა დარგში. სულითა და გულით უსურვებთ მათ ახალ მიღწევებსა და წარმატებებს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს წითელ არმიას!

თათბირის პრეზიდიუმი.

## სამხკორთა მუშაობის მორიგი ამოცანები კ. წ. დ. არმიის ნაწილებში.

### ამხ. ანჩარსკის მოხსენება.

სამხკორთა მუშაობა ჩვენს არმიაში განაგრძობს ზრდას.

ძირითადი ამოცანაა გავრცელებულ იქნას სამხკორთა მუშაობაზე პარტიული გავლენა, წესიერად აღიზარდოს და მომზადდეს სამხკორი და მათი მუშაობა ჩაყენებულ იქნას არმიის საბრძოლო ძლიერებისა და პოლიტიკურ შეგნების ამაღლების კალაპოტში.

სამხკორის მუშაობის საფუძველი—ასეულის კედლის გაზეთი და ასეულის სამხკორთა წრეა. მთელი ყურადღება სამხკორთა მუშაობის ამ ძირითად მხარეს, მეტი ყურადღება სამხკორთა აქტივის მომზადებას, რათა სავსებით და მთლიანად გავრცელებულ იქნას სამხკორთა მუშაობაზე ხელმძღვანელობა.

აღნიშნავს რა სამხკორთა მუშაობის სისუსტეს ტერნაწილებში, მოხსენებელი სახავს ამ მუშაობის ძირითად გზებს. ამას უნდა მიაქციონ პირველ რიგში ყურადღება ეროვნულ დივიზიების გაზეთების რედაქციებმა, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან ტერნაწილებს.

სამხკორთა მუშაობა (გარნიზონების მასშტაბით ორგანიზატორთა თათბირი, კედლის გაზეთების გამოფენები, და სხვა) სუსტადაა დაყენებული. ამის გამო სუსტია საქმიანი კავშირი ეროვნულ და ნუმერულ ნაწილების სამხკორებ შორის. სამხკორთა მუშაობა გარნიზონების მასშტაბით გაცხოველებულ და გაუმჯობესებულ უნდა იქნას.

გასული წლის ბანაკობამ და მანევრებმა გვიჩვენეს, რომ სამხკორთა მუშაობა ბანაკად და, განსაკუთრებით, მანევრებზე, ვერ იყო დაყენებული დამაკმაყოფილებლად. სამხკორები შეჩვეული არიან ყაზარმაში მუშაობას, ხოლო საველე და ლაშქრული ცხოვრების პირობებში ამ მუშაობას სუსტად აწარმოებდენ. ამ წლის ამოცანაა—გაუმჯობესებულ იქნას სამხკორთა მუშაობა ბანაკებსა და მანევრებზე.

მომხსენებელი შეეხო სამხკორთა დევნის მაგალითებს ჩამორჩენილ და შეგნებულ წითელარმიელთა მხრივ და განაცხადა, ამის თავიდან ასაშორებლად ფართედ უნდა იქნას გაშუქებული სამხკორთა მუშაობის მნიშვნელობა წითელარმიელთა შორის, ხოლო სამხკორებმა უფრო დაფიქრებით და სერიოზულად მოეკიდონ თავიანთ მუშაობას.

# სამხედრო საქმე

## ბრძოლის წესი და ილეთები.

ბრძოლა, უძველეს დროიდან ჩვენამდე არსებითად არის უცვლელი. ბრძოლა შეიცავს იმას, რომ გადამწყვეტი შემოკვრით გასტეხო მტერის ძალ ღონე, რისთვისაც გადამწყვეტ ადგილას და დროს უნდა მოახერხო მტერზე ძლიერი იყო.

ყოველივე ზემოთქმული საჭიროებს, შენს ხელთ იყოს ბრძოლის ინიციატივა, უნდა იყო გაბედული და ენერგიული, უნდა იმოქმედო მოულოდნელობით ე. ი. შემოკრა მტერს მაშინ და იქ, სადაც და როდესაც ის შენ არ გელის, უნდა ისარგებლო ადგილმდებარეობით ისე, რომ ყოველი მისი დადებითი მხარეები იყოს შენთვის ხელსაყრელი.

უნდა იცოდე მტრის ყოველივე, რისთვისაც საჭიროა ძიება მტრის, და რომ მტრის ასეთიდან (ძიებიდან) დაიფარო თავი უნდა ვაწარმოოთ დაცვითი სამსახური.

ყოველივე ეს იყო და არის კიდეც, უცვლელად ჩვენს დროშიც. რომელი ზემოჩამოთვლილი საშვალებანი უმჯობესია ერთი მეორეზე?

უპასუხებთ, რომ ყველა საჭიროა ერთად და უამისოდ ვერ ივარგებს ნამდვილი ბრძოლა.

ბრძოლაში საკითხი უნდა ისმებოდეს არა „რა ვქნა“, არამედ „როგორ ვქნა“, და სწორედ ეს „როგორ ვქნა“ არის ბრძოლის ხელოვნება ანუ როგორც უწოდებენ სამხედრო ხელოვნება.

ორივე მოპირდაპირენი ცდილობენ ბრძოლაში ამ საკითხს უპასუხონ „უკეთესად“.

უკეთესობა იმდენათ საჭიროა რამდენათ მტერთან ერთნაირი პირობა გამოიყენო შენდა ხელსაყრელად, ამისათვის კი ყოველთვის იყო და იქნება კიდეც საჭირო ბრძოლისათვის საზოგადოების შემადგენლობიდან უკეთესი ადამიანები.

თუ არსებითად ბრძოლა უძველეს დროიდან არ გამოცვლილა ე. ი. მისი ხასიათი ერთგვარი დარჩა, მეორე მისი საკითხი კი თანდათინ იცვლება და იცვლება იმდენათ, რამდენათ თვით ადამიანთა ცხოვრება ვითარდება და ვრცელდება. ეს მეორე საკითხი ბრძოლისა არის მისი მსვლელობის წესები და ილეთები.—ესენი ცვალებადია, ხშირად იცვლებიან.

თუ კი არსებითად ჩვენი წინაპარნი ისევე ცხოვრობდენ როგორც ჩვენ: სვამდენ—სჭამდენ, მუშაობდენ, მხიარულობდენ და სხვა, მაინც კარგად დაკვირვებით ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი სულ სხვანაირად ცხოვრობდნენ ვიდრე ჩვენ ეხლანდელ დროში.

იგივე შეიძლება ითქვას სამხედრო საქმეშიც, არსებითად ის იგივე დარჩა, როგორც ძველი დროიდანვე იყო ე. ი. ბრძოლა შეიცავდა და შეიცავს ორი მეომრის ხარისხის შეტაკებას, ხოლო ილეთები ბრძოლისა ანუ წესი, ტეხნიკის მოხმარება ბრძოლის არსებითობაზე იცვლებოდნენ და იცვლებიან, იმისდა მიხედვით თუ როგორი ცხოვრების პირობებში მიმდინარეობს ბრძოლა.

ამისათვის ყოველივე ახალი რამ ომის მსვლელობაში არსებითად არაფერს ახალს არ წარმოადგენს. ყოველივე ეს [illegible]ბა მხოლოდ ბრძოლის წარმოების წესსა და ილეთებს.

მაგალითად გასულ იმპერიალისტური ომში, როდესაც გერმანელები უკვე საფრანგეთის დედა ქალაქთან (პარიზთან) აწარმოებდენ ომს, ანტანტამ (ინგლის—საფრანგეთ—ამერიკა და სხვა) გერმანელებს მისი სანგრებში დაეტაკენ უამრავი რიცხვის ტანკებით. ტანკები ჯერ ომში ხმარებული არ იყო და გერმანელები, რომელთაც პირველად დაინახეს ეს რაღაც მანქანა, რომლებიც სანგრებზე და ყოველივე სიმაგრეზე ისე გადადის თუგინდ არაფერი და მასთან ცეცხლიც ტანკებისათვის უვნებელი შეიქნა, შედრკენ და დაიწიეს უკან. შემდეგში კი გერმანელებმა გამოიგონეს ტანკების საწინააღმდეგოთ სხვა და სხვა თოფები, რის გამო (შემდეგში) არც ერთი ტანკებით შეტევა მათთვის არ წარმოადგენდა საშიშროებას ე. ი. გერმანელებმა ტანკების მიერ ბრძოლის მსვლელობის შეცვლას შეუფარდეს თავისი მოქმედება; იხმარეს ამისათვის სა[illegible]თანადო ილეთები და ბრძოლამ ისევე ისე, მხოლოდ ცოტა წესის და ილეთების შეცვლით დაიწყო მსვლელობა.

ტანკები არის უძლიერესი საშვალება შეტევისათვის, მაგრამ მათი შემოღებამ ბრძოლის არსებითობა მაინც ვერ შესცვალა—შესცვალა მხოლოდ ამ სი მოქმედების წესი და ილეთები.

წესი და ილეთები ბრძოლისა მრავალგვარია და იცვლება საერთოდ არა მარტო რომელიმე ომის შემდეგ, არამედ თვით ერთი და იგივე ომის განმავლობაშიც კი.

ტეხნიკის გაუმჯობესობის მიერ ან იცვლება საშვალება ბრძოლის წარმოებისა ან მიიღება სხვა და სხვა საბრძოლველო წყობილება და წესი.

უმთავრესი, მტრის მიერ მოხმარებულ ახალი ილეთების საწინააღმდეგოდ არის—შეურყეველი სიმტკიცე და მედგრად დგომა.

გერმანელების გენერალი ლიუდენდორფი ამბობს ამის შესახებ: „როდესაც ანტანტამ პირველად იხმარა ტანკები ჩვენს წინააღმდეგ, ამით ჩვენ მან შეგვიპყრო მოულოდნელად, ხოლო გერმანელმა ჯარის-კაცმა მალე დაინახა, რომ ის (ტანკი) მისთვის უდაუძლეველი არ არიან, იყო ისეთი ჯარის-კაცები, რომელნიც პირდაპირ შე[illegible]ბოდა ტანკს ზედ და [illegible] მჯდომ ერთი ორი მოსამსახურეს რევოლვერით ამარცხებდა, ტანკი დგებოდა და ის იმას ინარჩუნებდაო“.

დ. მელაძე.

# სისხლის სამართლის ახალი კანონი.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის უახლოეს სესიაზე კვლავ გაირჩევა და საბოლოოდაც უნდა დამტკიცდეს ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი პროექტი. ამ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი დებულებები უკვე დამტკიცებულია საკავშირო ცაკის მეორე სესიაზე; დღეს დაგვრჩენია მხოლოდ შეუთანხმოდ ზოგიერთი მისი ცალკე ნაწილები „საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საწყისებს“.

ახალი კოდექსი ბევრ ნაწილსა და ცალკე მუხლებში სასტიკად განირჩევა ძველი, 1922 წელში, თითქმის ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დასაწყისშივე მიღებულ კოდექსისაგან. ის აგებული იყო გარდამავალ მომენტში და ვერ მოასწრო გათავისუფლებულიყო ბევრი აზრისა და გამოთქმებისაგანაც კი, რომლებიც აღებული იყო ძველი უფლებებიდან, დღევანდელ ბურჟუაზიულ კოდექსებიდან და რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცხოა და ეწინააღმდეგება ყველა ჩვენს უფლებრივ გაგებას. მაგალითად ძველ კოდექსში ყველგან იხმარებოდა: „დასჯა“, „ბოროტმოქმედება“, და სხვა და სხვა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შურს კი არ ვიძიებთ დამნაშავეზე, არამედ ვიცავთ თავს მისი მავნე და საშიშ მიდრეკილებათაგან, რომ ჩვენ კი არ „ვსჯით“, არამედ ვღებულობთ სოციალურ დაცვის ზომებს და ვიცავთ საზოგადოებრივ უფლება—წესრიგს სოციალურად მავნე და საშიშ ელემენტებისაგან (პირებისაგან).

ახალ კოდექსმა განდევნა ძველი ბურჟუაზიულ თეორიების მრავალი ნაშთი,—მაგალითად, განსხვავება დაწყებითი მოსამზადებელ მოქმედებისა და თვით ბოროტმოქმედების შესრულების შორის. ცხადია, ასეთი განსხვავება ძირითადად ეწინააღმდეგება მუშებისა და გლეხების პრაქტიკულ მიდგომას ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი.

ახალი პროექტის მიხედვით წესდება—მიღებულ იქნას დაცვის ზომები, როგორც ბოროტმოქმედების ჩადენის, ისე მისი განზრახვისა და მოსამზადებელ მოქმედების წინააღმდეგ. მასთან სასამართლო ვალდებულია მხედველობაში მიიღოს არა მარტო ბოროტმოქმედის საშიშროება, არამედ ბოროტმოქმედების მომზადების ხარისხი და მისი შედეგების სიახლოვე.

რაც შეეხება თვით ზომებს, პირველყოვლისა, შემოღებულია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირიდან სამუდამოდ განდევნა. ამ ზომის განხორციელება სრულიად შეუძლებელი იყო ბლოკადისა და სამოქალაქო ომის წლებში, როცა საზღვრები დახურული იყო. დღეს, როცა ყველა ეს დაბრკოლებები მოიხსნა, ეს ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნას მშრომელთა იმ მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელთა გამოსწორება შეუძლებელია.

ახალი პროექტით საგრძნობლად მცირდება დახვრეტის ზომა. მომავალში ეს ზომა გამოყენებულ იქნება მხოლოდ იმ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელიც უქადის საბჭოთა ძალაუფლებისა და საბჭოთა წესწყობილების საფუძვლებს.

ამ რიგად მთელი რიგი სხვა მძიმე ბოროტმოქმედებათა, სამეურნეო და თანამდებობითის, უკვე აღარ იქნება დახვრეტის საფრთხის ქვეშ, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება იმდენად გაძლიერდა და განმტკიცდა, რომ აღარ საჭიროებს ისე ძლიერ, როგორც წინად, დაცვის ამ გამონაკლის მძიმე ზომას.

მუხლების დიდ უმეტესობაში ტარდება თავისუფლების აღკვეთის ვადის საგრძნობლად შემცირება, ვინაიდან ამჟამად მხედველობაში მიღებულია ის, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს დამნაშავე მოიხდის სრულად (ცხადია, რჩება პირობითი—ვადამდე გათავისუფლება), და არ იქნება ეს განაჩენი დარღვეული ხშირი ამნისტიებით, განტვირთვითა და გათავისუფლების სხვა და სხვა ფორმებით.

დაცვის ზომების შერბილება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ გაიზარდა საბჭოთა ძალაუფლების ძლიერება და საერთო სიმტკიცე.

ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ძირითადი მომენტები, რომლებშიაც ახალ კოდექსს შეაქვს სერიოზული ცვლილებები. მაგრამ ესენიც საკმარისია იმისთვის, რომ გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: რომ ჩვენ საგრძნობლად გავიზარდეთ და განვმტკიცდით, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად და, ყველაფერი ეს—სულ რაღაც უმნიშვნელო პერიოდში—სამ ნახევარი წლის განმავლობაში.

ს. ტ—ი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## სომხეთის დივიზიის სამხკორთა თათბირისაგან.

გაზ. „წითელ არმიელს“

სომხეთის დივიზიის სამხკორთა თათბირი თქვენი სახით მხურვალე სალამს უძღვნის თავის თანამოძმე—ქართული დივიზიის სამხკორებს. თათბირი დარწმუნებულია, რომ განუყრელი კავშირი მოძმე დივიზიებს შორის და მუშაობის გამოცდილების გაზიარება თავდებია იმის, რომ ჩვენ გაერთიანებული ღონისძიებებით შევსძლებთ გაუწიოთ ამას სათანადო დახმარება მებრძოლის აღზრდისა და მოსახლეობის გასამხედროების საქმეში.

თათბირის პრეზიდიუმი.

## ხელს უწყობთ მოსახლეობის გასამხედროებას.

მე-2 არტლეგიონის 1-ლი დივიზიონის სამკითხველო.

ჩვენი სამკითხველო ძლიერ კარგად არის მოწყობილი. წიგნები მრავლად მოიპოვება ყოველი დარგიდან. მკითხველთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. წიგნების გაცემა და თავის დროზე უკან დაბრუნება წესიერად მიმდინარეობს. სამკითხველოშივე მოწყობილი გვაქვს სამხედრო კუთხე, რომელიც მორთულია შესაფერი პლაკატებით, დიაგრამებით და სამხედრო სხვა და სხვა ტიპის იარაღებით. წითელ არმიელები დაწვრილებით ეცნობიან სხვა და სხვა ნიმუშის იარაღებს და მათ ნაწილებს.

სამოქალაქო ორგანიზაციებთან სამკითხველო მჭიდროდ არის დაკავშირებული. აძლევს მათ ლოზუნგებს, პლაკატებს და სხვას სამხედრო კუთხეების მოსაწყობად. ჩვენს სამკითხველოს საგრძნობი წვლილი შეაქვს მოსახლეობის გასამხედროებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

სამხკორი კახნიაშვილი.

## ჩვენი მიღწევები.

მე-2 ლეგ. 9 ასეული.

ასეულში გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი. უკანასკნელად გამოვიდა მერვე ნომერი, რომელიც სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას. გაზეთში უმთავრესად წითელ არმიელები თანამშრომლობენ. ბევრ წითელ არმიელებს შეასწავლა წერა კედლის გაზეთმა, რომლებიც იმდენად გამოიწაფნენ, რომ გაზ. „წითელ არმიელშიც“ გზავნიან ამ ჟამად წერილებს.

რედკოლეგია აუარება კორესპონდენციებს ღებულობს. წითელ არმიელების ინტერესი მუშაობისადმი თანდათან იზრდება. მალე შევიქნებით იმის მოწამე, რომ ჩვენთან გაწვრთნილი წითელ არმიელები უფრო მეტ საქმესაც შესძლებენ შეასრულონ.

სამხკორი ფ. აზიკუროვი.

## გავხსენით სამხედრო კუთხეები.

მე-6 ლეგ. მე-3-მე ათასეული

ათასეულში შესაფერ ნიადაგზეა დაყენებული ყოველგვარი მუშაობა, გარდა სამხედრო კუთხეებისა, რომელიც მოიკოჭლებდა ამ უკანასკნელ ხანებამდე. ათასეულის მესვეურებმა ყურადღება მიაქციეს ამ მოვლენას და გულმოდგინეთ შეუდგენ სამხედრო კუთხეების გახსნის საქმეს.

ქართული ლაშქრის ხუთი წლის თავზე მიზანი მიღწეული იქნა. ათასეულმა გახსნა ამ დღეს სულ 8 კუთხე. პირველი მათგანი გახსნილი იქნა ათასეულის შტაბის წერტზე, რომელსაც დაესწრნენ რწმუნებულები და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ კუთხის გახსნაში.

ამ დღესვე გაიხსნა სამხედრო კუთხეები იყალთოს, ფშაველის, ნაფარეულის, ყვარელის, წინანდალის და შაშიანის წერტებზე. ყველა სამხედრო კუთხეები გაიხსნა სამკითხველოებში. გამოყოფილი იქნა მათთვის სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები.

მუშაობისათვის საჭირო გეგმის მიწოდება დაევალა ათასეულის უფ-შემადგენლობას, რომლის საშვალებით იმედია შევსძლებთ საფუძველი ჩაუყაროთ სოფლის გასამხედროებას.

სამხკორი დ. ჭანკვეტაძე.

## იმედებს ამართლებენ.

ცხენოსანი ლეგ. მეთაურთა სკოლა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლა ცალკე შენობაში იქნა მოთავსებული.

ახალ ბინაზე მშვენივრად მოვეწყვეთ. მოვაწყვეთ ლენინის კუთხე საუკეთესოდ. მდიდრად გვაქვს მოწყობილი აგრეთვე სამხედრო კუთხე—შიგ ყოველნაირი—ძველი და ახალი სისტემის სამხედრო იარაღები მოიპოვება.

ლეგიონის ქოხ-სამკითხველო დიდ დახმარებას გვიწევს ლენინის კუთხისა და სამხედრო კუთხისათვის სპეციალური ლიტერატურის მოწოდებით.

თვით სკოლაში დიდი ენტუზიაზმით მიმდინარეობს მეცადინეობა. მეთაურებთან დამოკიდებულება საუცხოვოა. დისციპლინა სამაგალითო—ამხანაგური. მოკლე ხანში სკოლა სათანადო ცოდნით აღჭურვილ მეთაურებს დაუბრუნებს ლეგიონს.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## მოაწყვეთ გასამართლება.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

კარგი ხანია ჩვენს ლეგიონში აღარ მოწყობილა ლიტერატურული გასამართლება, ლენინის კუთხეში საუბრების დროს წითელ არმიელები ხშირად თხოულობენ გასამართლებას. თვითონ airchev რომელიმე მოთხრობიდან ტიპებს და მართავენ კამათს, მაგრამ ვერ უდგებიან კარგად, ხელმძღვანელის უყოლობის გამო. საჭიროა ეცადოს ლიტ-წრე და აღნიშნული ამხანაგები ჩააბას გასამართლებაში მონაწილეებათ.

დროა მოაწყოს წრემ გასამართლება, ამას უნდა მიაქციოს ყურადღება კლუბის უფროსმა.

სამხკორი არველაძე.

## კონკურსი საუკეთესო სამხედრო კუთხეებზე.

### სამხედრო კუთხეები.

მე-4-ხე ლეგიონი.

სამხედრო კუთხეების მუშაობა ლეგიონში დამაკმაყოფილებელია, საერთო დახასიათება გვექნება ქვევით, ხოლო ილუსტრაციისათვის მოვიყვანორი სამხ. კუთხის მუშაობის მაგალითს.

1) გორის მაზრის შინდისის თემის სამხედრო კუთხე. კუთხის გამგე არის ცვალებადი წ. არმიელი, რომელიც შედის ქოხ-სამკითხველოს საბჭოში და კლუბის გამგეობაში. მისი აქტიობის დასახასიათებლათ საკმარისია შემდეგი მაგალითი: ტერშეკრების დამთავრების შემდეგ მისი ინიციატივით მოწვეული იქნა ცვალებადთა კრება და გახსნილი იქნა სამხედრო კუთხე (იხ. ოქმი № 1).

მუშაობის გეგმას სამხედრო კუთხეს უდგენს ასეულის სამხედრო ცოდნის წრე, რომლის საკომპლექტო რაიონში შედის კუთხე, ხოლო გეგმას ატარებს ცხოვრებაში კუთხის გამგე. სამხედრო კუთხე მოთავსებულია ქოხ-სამკითხველოში. სისუფთავის და წესრიგის დაცვას თვალყურს ადევნებს ქოხ-სამკითხველოს გამგე, ხოლო განსაზღვრულ პერიოდში იდეურ მუშაობას აწარმოებენ აქტივი ცვალებადელები. კუთხის გამგე ადგენს გეგმის თანახმად მუშაობის კალენდარულ ცხრილს.

კვირაში ერთხელ მიდის კადრიდან უფ-პოლიტშემადგენლობა და ატარებენ მოხსენებას, საუბარს და სინჯავს კუთხის მუშაობას. სამხედრო კუთხის გამგე უდგენს თავის ასეულის ხელმძღვანელებს თავის მუშაობის ანგარიშს თვეში ერთხელ. სამხედრო ცოდნის წრის წევრთა რიცხვი უდრის 33.

გამოდის თვეში ერთხელ კედლის გაზეთი „ცვალებადელი“ ქოხ-სამკითხველოში არის 37 სამხედრო წიგნი (იხ. ლეგ. ბიბლიოთეკის ზედნადები № 24). კუთხეს გამოწერილი აქვს გაზეთი „წითელ არმიელი“ და „კომუნისტი“.

კუთხის ტეხნიკური მხარეები დამაკმაყოფილებელია.

2) ატენის თემის სამხედრო კუთხე. კუთხის გამგე შედის ქოხ-სამკითხველოს საბჭოში.

მუშაობის გეგმა ეძლევა ნაწილიდან. გარდა აღრიცხვისა ასრულებს ყველა მოთხოვნილებებს სამხედრო კუთხის მუშაობაში (იხ. ოქმი № 2 1926 წ. 21 თებერვლიდან).

საერთოდ სამხედრო კუთხეთა რიცხვი უდრის ლეგიონის მასშტაბით 35-ს, აქედან საწარმოვო ცენტრებში—11, სოფლებში 22.

კუთხეებში ჩაბმულნი არიან სამუშაოთ 95 ცვალებადელი, წვევამდელები 25. სამხედრო ცოდნის წრეთა რაოდენობა უდრის 71-ს. მთელი მუშაობის აღრიცხვა სწარმოებს და მუშაობის განხილვა ლეგიონის მასშტაბით ხდება სამხედრო სამეცნიერო საბჭოში თვეში ერთხელ.

სამხკორი დანა.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

## „ბატმა კნიაზი ჩაყლაპა“.

(ისტორიული საბუთები მონაწილის დღიურიდან).

წინათქმა:

წითელი ყაზარმა საზეიმო აღლუმის შემდეგ ისვენებს...

საღამო აიბურა თალხი ნისლებით...

გაისმა ბუკი...

ვახშამი...

და, შემდეგ...

წითელარმიელებს შეუყრიათ თავი ერთ კუთხეში, სადაც სოსო სოფლიდან თან წამოღებულ ფანდურს აჟღერებს, ზედ დამღერის სხვა და სხვა ხან ხალხურ სიმღერებს და ხან თავის მიერ შეთხზულს...

—„ბატმა კნიაზი ჩაყლაპა, ახალციხის ბოლოსაო...“

დაადიდინა...

ამხანაგები არ მოეშვენ, უთუოდ გვითხარი მაგ ამბის ისტორიაო, და ისიც, როგორც ყოველთვის დაუზარელი მოჰყვა:

I

1905 წლის გლეხთა მოძრაობა ქართლში საშიშ ხასიათს იღებდა... მისი წითელი რაზმები შიშის ზარსა სცემდენ აბეზარ მემამულეებს და მთავრობის წურბელა მოხელეებს...

ახალქალაქის (ეხლა წითელი ქალაქი) რაიონი გორის მაზრაში პირველ რიგში იდგა, რევოლიუციონური მოძრაობა აქ ყველაზე თვალსაჩინო იყო...

დამარცხდა მოძრაობა, გამეფდა რეაქცია, და ამ რაიონსაც დაატყდა შურისძიება: მთავრობა, თავადობის ნაწილი, ადგილობრივი ხელისუფლების მოძრაობით ნაწყენი მოხელეები ყველა ჯავრს ყრილობს დამარცხებულ გლეხობაზე, ყაზახთა ექსპეციები სულსა ღაფავენ სოფლებს, მთავრობის მამასახლისები აღარავის ინდობენ, მოითხოვენ მოძრაობაში მონაწილეთა გაცემას, მემამულეთა ზარალის ანაზღაურებას, მაგრამ გლეხობა არ აძლევს ხელში თავის მოჭირნახულე მებრძოლებს...

იწყება ჩხრეკა-დაპატიმრება, ცემა, დარბევა, ივსება ციხეები, იგზავნებიან ციმბირში...

მაგრამ არა სძინავს წითელ რაზმს, ის თუმცა იმალება, „ტყის ძმებად“ იწოდება, მაგრამ თავის დროზე იქ გამოჩნდებოდა, სადაც არ ელოდენ...

მოძრაობა დამარცხდა, მაგრამ...

II

საღამო იყო...

გარიყულის თავზე აღიმართა, ბინდბუნდში, ორი აჩრდილი...

ეს იყო საკირეებისაკენ მიმავალ ბილიკზე...

ერთ მათგანს ტომარა წამოეკიდებინა და ძლივს მიეზიდებოდა, მეორე კი იდლიაში თოფით ზვერავდა ირგვლივ მიდამოებს, სიფრთხილით, და ჰფარავდა პირველის მსვლელობას...

მეორე დილას ხმა გავრცელდა, რომ თავის მამულში დაიკარგა,—ახალციხის ბოლოს, სახნავ მიწაში, სადაც თვით რწყავდა, რადგანაც გლეხები აღარ ეკარებოდენ,—კოჭლი გიგო.

ეს იყო თავადი გიგო თარხან-მოურავიშვილი...

ყველგან ეძებეს, მაგრამ იმისი ასავალ-დასავალი ვერსად იპოვეს...

გაუწერელი იყო ამის გამოდ გლეხთა აწიოკება...

ყაზახები, თავადების ნაწილი, ბოქაული, მთავრობის მამასახლისი, სტრაჟნიკები აღარ ინდობენ უკვე დამარცხებულ და მშვიდობიან შრომაში ჩაბმულ გლეხობას; რამდენიმე სოფელი ააწიოკეს, რომლებზედაც კი ეჭვი ჰქონდათ, რომ მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ საქმეში, მაგრამ ნამდვილად კი აპატიმრებდენ მოძრაობაში შენიშნულ ახალგაზრდობას, უფრო კი დახარალდენ: ახალციხე, ნოსტე, გარიყულა, ნიაბი, ახალქალაქი, ერთაწმინდა და სხვა.

საუკეთესო ახალგაზრდობა ციმბირში იქნა გაგზავნილი, სცემეს, აწამეს, მოხუცებს სისხლით უღებავდენ ჰალარას, ქალებს არ ინდობდენ, მთავრობის მამასახლისი ბავშვებს ფეხებით ჰკიდებდა ყირაზე, რომ გამოეტეხა, ტორებში ჩასვამდა და მოკვლით ემუქრებოდა (მაგ. გარიყულელი სულუაშვილი) და სხვა...

ოცდაათამდე გლეხი დაიღუპა ამ საქმეზე, ბევრი ქალი, ბავშვი შეშლილი იყო კარგა ხანს საზარელ სურათების ნახვით...

— ბატმა კნიაზი ჩაყლაპა,
გარიყულის თავშიაო,
ან ავლილი, ან ჩავლილი
ხომ არ გინახავთო?

გამოუთქვა ხალხმა დაცინვით, რა ძებნა უშედეგოდ დამთავრდა; გლეხობას არ აშინებდა დევნა, წამება, და მაინც მხიარულად დასცინოდა მტრებს:

— კოჭლი გიგო დაიკარგა
ახალციხის ბოლოსაო,
ან ავლილი, ან ჩავლილი
ხომ არ გინახავთო,
იქნებ კლდეზე გადავარდა,
კოჭლი ფეხით ჰხნავსო?!

გაიძახოდენ ბავშვები, გასაღიზიანებლად...

ამ შემთხვევის თაობაზე ბევრი გლეხი ეწამა, მაგრამ, ყველაზე ძალიან კი ტატო გელხაური, ახოვანი ტანის გლეხი, რომელმაც სთქვა უკვდავი სიტყვები მოძრაობის დროს, დიდი მიტინგი რომ გაიმართა გარიყულზე, სადაც რამდენიმე ათეული სოფელი იღებდა მონაწილეობას, და

— რა ვუყოთ თავად-აზნაურობას?—წამოიძახა ვიღაცამ.

— გავწყვიტოთ დედაბუდიანად!—მიუგო ტატომ.

აი უფრო ეს სიტყვები გადექცა მას საბედისწეროთ; ციმბირში გადაასახლეს სხვებთან ერთად, მაგრამ ფეხით გამოიქცა იქიდან; აქ კიდევ დაიჭირეს, ყაზახებმა ცემით მოჰკლეს...

— რადა სთქვი მაშინ, რომ თავადები დედაბუდიანად გავწყვიტოთო?—შეეკითხა ბოქაული კბილების კრაჭუნით და გადაუჭირა მათრახი.

— რათა და იმიტომ, რომ ვიცოდი რა ეკენი ისევ იხელთებდენ თავის დროს, მაინც არ დაგვინდობდენ; ეხლა ვატყობ, რომ მე მართალი ვიყავი მაშინ.

მიუგო წარბ შეუხრელად...

მას კიდევ იმისთვის უფრო მოჰკიდეს ხელი მაგრა, რომ სადაც თავადი დაიკარგა უგზოუკვლოდ, მის ახლოს ტატოს მიწა ჰქონდა, სადაც იყო თითონ იმ დროს და მუშაობდაო.

— ერთად ერთი მას უნდა სცოდნიყო ეს ამბავი, თუ ვინც გაიტაცა თავადი, მაგრამ ისე მოკვდა, რომ არა სთქვა და ეს საიდუმლო თან ჩაიყოლა სამარეშიო.

ეხლაც გაიგონებთ ზოგიერთ მოხუც გლეხისაგან.

(დასასრული იქნება)

ს. ერთაწმინდელი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## 1-ლი არტლეგიონის კომუჯრედი.

სკოლაში ამ უკანასკნელ ხანამდე არ იყო დაარსებული კომუჯრედი, რადგან პარტიული ამხანაგები დანაწილებული იყვნენ სხვა და სხვა ბატარეებში და ადგილობრივად მუშაობისათვის არავინ ეკალა. სკოლის დაარსების შემდეგ ჩამოყალიბდა კომუჯრედიც. ამხანაგები განტვირთული იქნენ ბატარეებში მუშაობიდან და შეუდგნენ ადგილობრივად მეცადინეობას. ამ ქამად უჯრედის საქმიანობა წარმატებით მიმდინარეობს.

თვეში ერთხელ ხდება დახურული პარტკრება. დაარსებული იქნა აგრეთვე ახკომკავშირელთა უჯრედი. გაერთიანებულ ღია კრებებზე კი ესწრებიან უპარტიო წითელ არმიელები.

პარტიის და კომკავშირის წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სკოლაში არსებულ ყველა წრეებში და ბიროებში. პარტდისციპლინა მტკიცე არის დაცული.

სამხედრო გ. გორგაძე.

## ცხენ. ლეგ. 1-ლი ესკადრონის უჯრედი.

24 მარტს ცხენოსანი ლეგიონის 1-ლ ესკადრონში შესდგა კომუჯრედის მორიგი გაერთიანებული კრება.

გაკეთებული იქნა მოხსენება ესკადრონის ცხოვრების შესახებ, ესკადრონის თავის მიერ, რომელმაც აღნიშნა სამხედრო რევოლუციონური კანონიერების მნიშვნელობა და როგორი ყურადღება ექცევა მის დაცვას ესკადრონში.

შემდეგ აგრეთვე წითელ არმიელებისთვის ტანსაცმლის ვადის გადიდებას, რომელიც შემოღებული იქნება. აღნიშნა წარმოებული სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობაში და მრავალი სხვა. მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს წითელ არმიელებმა.

დასასრულ გარჩეული იქნა ზოგიერთ პარტიაში შესვლის მსურველ ამხანაგების განცხადებები. სათანადო კითხვების და გამოკვლევის შემდეგ, ერთხმად იქნენ მიღებული პარტიაში სამი ამხანაგი და პარტკანდიდატად ერთი.

სამხედრო 3. კახიძე.

## არ გვივიწყებენ.

20 მარტს ქვემო მაჩხაანის სამოქალაქო ორგანიზაციებს ესტუმრა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკას ინსტრუქტორი ამ. ცაგარელი, რომელმაც დაათვალიერა ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა.

ამხანაგმა მოინახულა აგრეთვე ადგილობრივი სამხედრო წერტი, სადაც რამოდენიმე ათეული მშრომელი გლეხობის შვილები იწვრთნება, პოლიტიკურად და სამხედრო საქმეში. ამხანაგმა ყურადღებით დაათვალიერა წერტი და მისი საქმიანობა.

გადასინჯა ა. ლ. ქ. კ. კოლექტივის სხდომების და კრებების ოქმები, როგორც 1904 წელში დაბადებულების, ისე 1905 წ. და ცალკეულად წითელ არმიელების პარტიის უჯრედის ოქმები და საწარმოო გეგმები.

ამხანაგი დიდი კმაყოფილი დარჩა და გვისურვა ენერგიის გაძლიერება.

ჩვენი ისეული იმედოვნებს, რომ პირნათლად შეასრულებს იმ მითითებებს, რომელიც მას მისცა ცკას ინსტრუქტორმა.

სამხედრო მეფარიშვილი.

## მივიღეთ ცოდნისათვის.

1 ლი ლეგ. ბატარეა.

ჩვენს ბატარეაში გამოცოცხლებულ სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა. წითელ არმიელები გულმოდგინეთ ეკიდებიან მუშაობას. სკუპეთილად დაცული დისციპლინა. თავისი მოვალეობის შესრულება პირველ ადგილზე არის დაყენებული. უწიგნურობის მეტად კარგი განწყობილება არსებობს.

ბატარეაში ამ ქამად არ იმყოფება არცერთი წერა-კითხვის უცოდინარი. ყველას შეუძლია წერილების წერა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წარმატებით იქნა ჩატარებული.

ბატარეაში დაარსებულია სხვა და სხვა ჯგუფები: პოლიტიკური, ლიტერატურული, სამხედრო და სხვა, მათთან მეცადინეობა ტარდება სისტემატიურად.

ლენკუთხე დიდათ უწყობს ხელს წითელ არმიელების განვითარების საქმეს. ხშირად ტარდება საუბრები და ხმამაღალი კითხვა.

ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვაში დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი წითელ არმიელები.

სამხედრო შრამელი.

# სამხედრო კუთხე

ტერსისტემაზე გადასვლამ განვლო მდგომარეობას. არ მხოლოდ გამოძახილი ჰპოვა საქართველოს მშრომელებში, უკანასკნელი შეგნებულად შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების ამ ნაბიჯს, რომელიც მიმართულია ყველა მშრომელთა შეიარაღება-თავდაცვისაკენ.

ტერსისტემაზე გადასვლამ დასვა საკითხი მუშების და გლეხების გასამხედროების შესახებ. საკითხი ეს როგორია და როგორ უნდა შრომის და ენერგიის დახარჯვას.

განსახორციელებლად მშრომელების გასამხედროების მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ვარსებმა ა. წ. სამხედრო კუთხეს. დღეს-დღეობით ჩვენ გვაქვს ოთხმოცამდე სამხედრო კუთხე ქ. ტ-სამკითხველოებთან, კლუბებთან და საწარმოო დაწესებულებებთან.

ამ კუთხეების წყალობით ჩვენ უნდა გადავჭრათ უდიდესი საკითხი ტერიტორიალური—მშრომელთა გასამხედროება; აქედან, ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს სამხედრო კუთხეს.

ამიტომ კუთხის ორგანიზაცია და წარმოება მუშაობის მოითხოვს ხელმძღვანელისაგან დიდ დაკვირვებას და ყურადღებას.

უპირველეს ყოვლისა უნდა მივაქციოთ ყურადღება კუთხის გარეგნულ მხარეს. ბევრი კუთხე ამ მხრივ ძლიერ მოიკოჭლებს. სამხედრო კუთხეს უნდა ჰქონდეს სამხედრო ხასიათი. აქ თავმოყრილი უნდა იყვეს ისეთი მასალა, რომელიც ახასიათებს სამხედრო ჯარის ისტორიას, განვითარებას და დღევანდელ მდგომარეობას. არ არის საჭირო კუთხის აჭრელება მრავალი პორტრეტებით და ლოზუნგებით. კუთხეში მოცემულ უნდა იქნეს კონკრეტული, არსებითი მასალა.

რაც შეეხება თვით კუთხის მუშაობას, აქ პირველი ადგილი უნდა დაეთმოს საცნობო მუშაობას. ქალაქის მუშები ხელმძღვანელ იცნობენ წრეები არ. მიის ისტორია—მანქანა, მის სტრუქტურას, ყაზარმის ცხოვრებას. ეს ვერ იქნება გლეხობის უდიდეს ნაწილზე, რომელსაც თითქმის არავითარი წარმოდგენა არ აქვს ჯარზე. და აქ საჭიროა ფართო საცნობი მუშაობის წარმოება სამხედრო კუთხეში. კითხვა-პასუხის საათის, საღამოების და კედლის გაზეთის საშუალებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენ სოფელს ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა წითელ ჯარზე. და შემდეგ, როდესაც გლეხი გაერკვევა წითელ არმიის ვითარებაში, გაიცნობს მას, სხვა და სხვა ხასიათის წრეების საშუალებით ჩავაბათ მას უფრო სერიოზულ, ნამდვილ სამხედრო მუშაობაში.

მუშაობის კუთხეში უნდა ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი; აქ აუცილებელია სასტიკი წესრიგის დაცვა, კუთხეში უნდა სუფევდეს სამხედრო დისციპლინა, მეხოვრეობის ამით მივაჩვევთ წესრიგს და მეორეს მხრივ დავაჩვევთ რა კუთხის სისტემატიურ მუშაობას, მოვამზადებთ მას მეტი პატივისცემით და დიდი ინტერესით იქნება კუთხის მუშაობაში.

გ. ხუციშვილი.

# უცხოეთის არმიებში

## რიფების არმია

ფრანგეთი არ მალავს, რომ მაროკოში, რიფების წინააღმდეგ ბრძოლა ყოველდღიურად უფრო და უფრო ძნელი და სერიოზული ხდება. რიფების არმიის ორგანიზაცია და ძალები არა თუ სუსტდება, არამედ პირიქით უფრო და უფრო ემატება.

უკანასკნელ ბრძოლებმა გამოაშკარავეს, რომ რიფების ჯარი უფრო კარგი შეიარაღებით და საგრძნობლად გაუმჯობესებული სიმაგრეები აქვთ.

წინად ფრანგებს უხდებოდათ მხოლოდ თოფებით შეიარაღებულ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ მოქმედება, მაგრამ უკანასკნელ ხანებში რიფებმა მოიპოვეს ავტომატიური თოფები, ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, ხშირად ზარბაზნებითაც და სხვა.

წინად ვაჟების შეიარაღ რაოდენობის დახარჯვისაც კი ადვილად შეიძლებოდა მოწინა ადგილების პოზიციის ჩაგდება ხელში, რომელიც უკანასკნელ წლებში სრულიად კრძალდება პრაქტიკაში; უკანასკნელად მკაცრი ბრძოლები და იერიშები შეიქნა საჭირო მათ წინააღმდეგ. რიფები უკეთესად ისვრიან, ვიდრე წინად და სამალავებიდან მათი ცეცხლი დიდ ზარალს აყენებს მოწინააღმდეგეს—ფრანგების ჯარებს.

რიფების ნაწილების უფროსებად იმყოფებიან ყველაზე უფრო გამბედავი და გმირი რიფების ბელადები.

უმაღლეს სარდლობას თავის დებულებაში კი ჰყავთ ისეთი მეთაურები, რომლებსაც აქვთ სპეციალური სამხედრო მომზადება.

კარგად არის დაყენებული რიფების ნაწილებში კავშირის საქმე. თითქმის შტაბი დაკავშირებულია ტელეფონის საშუალებით, როგორც სხვა შტაბებთან ისე მნიშვნელოვან პუნქტებთან.

რიფების არმია შესდგება 70-80.000 კაცისაგან.

არმიაში მიდის ყველა, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება. დასახლებულ ადგილებში თავდაცვაში რჩებიან მხოლოდ ქალები, ბავშვები და მოხუცები. რიფები აღჭურვილნი არიან ბრძოლით და მიისწრაფიან გამარჯვებისაკენ. ამიტომ ეგრეთწოდებული ისინი საკუთარ სხვებზე ფრანგების ჯარებს და იმათზე იმით, რომ ევროპელები იძულებულნი ხდებიან მეტი ენერგია დახარჯონ მათთან ბრძოლაში.

# ამიერ-კავკასიის საექსკურსიო საქციონერო საზოგადოება

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ სამართველობის თაოსნობით ტფილისში ეწყობა ამიერ-კავკასიის საექსკურსიო—სააქციონერო საზოგადოება.

ამ საზოგადოების მიზანია მოაწყოს მეცნიერული და ეთნოგრაფიული ხასიათის ექსკურსიები ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონებში და ამავე დროს ხელი შეუწყოს დღევანდელობა და ნივთიერი დახმარება გაუწიოს ყველა დაწესებულებას, რომლებიც აწყობენ ექსკურსიებს და ამით ხელი შეუწყოს ამიერ-კავკასიის და მასი რესპუბლიკების ისტორიულ წარსულისა და თანამედროვე ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ ყოფა-ცხოვრების შესწავლის საქმეს.

დღემდე ექსკურსიებს ჰქონდათ შემთხვევითი ხასიათი, ამიერიდან კი მათ მოწყობას მიეცემა სისტემატიური ხასიათი და დიდი კულტურული მნიშვნელობა.

საზოგადოებას, გარდა ამისა, განზრახული აქვს მოაწყოს ეთნოგრაფიული ექსკურსიები, რომლებიც შეისწავლიან ამა-თუ იმ რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა და სხვა ეროვნების ცხოვრებას. განზრახულია აგრეთვე ამ ზაფხულზე მოეწყოს ექსკურსიები საბჭოთა კავშირში და საზღვარ-გარეთ.

# ახალი ამბები.

— მოძრავი სინოტგამოფენები. ტფ. ჯანმრთელობის განყოფილებამ მონაწილეობის და თაოსნობით გეგმავს მოძრავი სინოტ გამოფენები.

— სინიონ-საამშენებლო ამხანაგობანი. ტფილისის აღმასკომის აღრიცხვაზე ყავს აყვანილი 205 სინიონ-საამშენებლო ამხანაგობა.

— სახლების უქონელთა მშრომელებისათვის სასამართლოს გადაცემული აქვს 110 საქმე გასარჩევად.

— კანონთა კრებული. საქართველოს შრ. სახ. კომისარიატი ახლო ხანში გამოსცემს შრომის კანონთა კრებულს.

— შრომის მეურნეობისთვის დამხმარე დახმარება [illegible]

— ტფილისის მოსახლეობა [illegible] 1.574 მამა კაცი და 140 ქალი.

# ჩვენი ფოსტა.

კორესპონდენტებს თქვენი წერილი შევის შესახებ არ გამოდგა. მოაწერეთ სხვები.

ბ. ბ—ს წერილი წვევამდელების შესახებ ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. არ დაიბეჭდება.

კვალადიძეს, ბარბაქაძეს, იოსავას, პალ სხვებლს, მათიაშვილს, ი. ოკუჯავას, გარდავს, ოდიშარიას, წვრთვაძეს, ლ. გორგაძეს, კახიძეს, სამხედრო მ. შ. ბ., გოგშვილს, რევაზიშვილს, ბურდულს, მეძველიას, ჭინკვარაძეს, შაგურაძეს, ნაკაშიძეშვილს, შრამელს, ცაფური გილს, შარიქიძეს, და ალ. ლომიძე—თქვენი წერილები მოგვივიდა რომლებიც ტექნიკური მიზეზის გამო ვერ მოთავსდება ქართ. არმიის ხუთი წლის თავის აღსანიშნავ გაზეთში, არ დაიბეჭდება.

არველაძეს შენი მოკლედ არ გამოდგა.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

4-ე ქართული მსროლელი ლეგიონის ლეგიონის № 6 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში წევრად გადარიცხვის შესახებ. ამხ. გიორგი ქუცხინის და ამხ. ბიქტორ მინაძოშვილის.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს, გვაცნობეთ ერთი კვირის განმავლობაში.

ქართულ ცხენ. ლეგიონის ბიუროკოლექტივი ამით აცხადებს, რომ ამავე ლეგიონის ბიურო კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტ-კანდიდატებად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1. მამარაძე აბესალომს, 2. გუგალი იგინეს და 3. კილასონია კირილეს.

პარტ-კანდიდატობიდან პარტწევრად უნდა გადაირიცხონ შემდეგი ამხანაგები: 1. ჩანჩიაშვილი ალექსანდრე, 2. ოკუჯავა ალექსანდრე, 3. ბექაია აკაკი, 4. ურუშაძე ივანე, 5. იაგორიშვილი გაბრიელი და 6. აბრამიძე ივანე.

ზემოხსენებულ ამხანაგების საწინააღმდეგო თუ ვინმეს რაიმე აქვს ცხ. ლეგ. ბიურო კოლექტივს მიაწოდოს ცნობები.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუთაისელის ქ. № 8. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.